




[ჟ] V-XVIII სს. ქართულსა და თანამედროვე ქართველურ კილოებში

[ჟ] დიდი სიხშირით ვლინდება უძველეს ქართულ ხელნაწერებსა თუ ლაბიდარულ წარწერებში. ეს ბგერა თანამედროვე ქართველურ კილოებშიც ძალზედ აქტიურად დასტურდება და მიიღება [ი]-საგან, ჰ||ხ, ზ||ს||შ||ც, ნ||რ||ლ, ჯ, გ თანხმოვნებისაგან, ასევე ჩნდება იოტიზებული შემართვისა და დამართვის დროს (ბ. ჯორბენაძე, 1998; ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999; მ. მიქაუტაძე, 2005).

ჩვენი მიზანია დიაქრონიულ ასპექტში განვიხილოთ [ჟ]-ს შემცველი ბგერათკომპლექსები და გავარკვიოთ, რა მიმართებაა უძველესი წერილობითი ძეგლების მონაცემებსა და თანამედროვე ქართველურ კილოებში გამოვლენილ ვითარებას შორის. კერძოდ: განვიხილავთ ფორმებს, რომლებიც: ა) V-XVIII სს. სალიტერატურო ენისთვის ნორმაა, თუმცა დღეს მხოლოდ ქართველური კილოებისთვისაა დამახასიათებელი; ბ) მეცნიერთა მიერ ზეპირი მეტყველებისთვის (მწერლის ან გადამწერის დიალექტისთვის) დამახასიათებლად მიიჩნევა; გ) გადამწერის „კალმისმიერ“ შეცდომად ანდა უცოდინრობად ითვლება, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, მათ სხვაგვარი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს.

ქართული ასომთავრული ანბანი თავიდანვე არჩევდა /ი/ ფონემის მარცვლოვან [ი] და უმარცვლო [ჟ] ალოფონებს. შესაბამისად, გრაფემა [ი]-ს გადმოსცემდა და  გრაფემა — [ჟ]-ს.

უძველესი წერილობითი ძეგლების მონაცემებზე დაყრდნობით გარკვეულია [ჟ] ალოფონის დისტრიბუცია, რომელიც ერთობ შეზღუდულია. იგი გვხვდება: ა) ხმოვანთა შემდეგ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ა, ო, უ (იშვიათად ე) ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან; ბ) უკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებში; გ) ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ნათესაობით (იშვიათად მოქმედებით) ბრუნვაში; დ) ზოგი ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში; ე) ზოგი ზმნიზედის შემადგენლობაში.

ხანმეტი და ჰანმეტი ძეგლების მიხედვით, მკაცრად განსაზღვრული ორთოგრაფიული ნორმით [ჟ] ბგერათკომპლექსი გადმოიცემა  დაწერილობით; მის პარალელურად **ეჟ** და **ე** დაწერილობანიც გვხვდება ამ დიფთონგის აღმნიშვნელად. ეს პარალელური დაწერილობანი ნიშანია იმისა, რომ დიფთონგის ერთი ასო-ნიშნით გამოხატვა უჩვეულო და ხელოვნურია ქართული ორთოგრაფიისთვის. შედეგად სახეზეა მართლწერის ნორმის რყევა: გრაფემათა დაწერილობების აღრევა. ამავე პერიოდის ძეგლებში უფროობითი ხარისხის ფორმებისა და წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმის მქონე ზმნიზედებში (უდიდეს, უმჯობეს, ეგრეთ, ესრეთ...) [ჟ] ბგერათკომპლექსის გადმოცემისას  დაწერილობის პარალელურად საკმაოდ ხშირად გვხვდება ე დაწერილობა (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 13-17). ამის მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ V-VI სს. ზეპირი მეტყველებისთვის ამ უკვე გაქვავებული სახის ფორმებში [ჟ] ბგერათკომპლექსის გამარტივება დაწყებულია.

IX-XI სს. ძეგლებში [ეა]-ს გადმოცემის ორთოგრაფიული ნორმის რყევა იმატებს.

IX-XI სს. ლაპიდარულ წარწერებში ~~ჲ~~-ს გამოყენება საკმაოდ იშვიათია და არატრადიციული. [ეა] ბგერათკომპლექსი ამ ძეგლებში, ძირითადად, **ⴌ** ან **ⴍ** დაწერილობით წარმოგვიდგება. საუბარია ნუსხა-ხუცურით შესრულებულ წარწერებზე. მაგალითები: ძეი ლიპაჯაჯისი (ატენი X-XI); მე ღლ^ა უბოძე (უბისა IX-X); ზღუდე (ატენი X); მიჰუტინის ძეი (ქორეთი XI); სტეფანე (საბუე X); ქ^ა აღიდენ მეფე (დოლისყანა X)... (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 17-28).

დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში (ვთქვათ, IX ან XI საუკუნეში) შესრულებულ სხვადასხვა ძეგლში ერთსა და იმავე პოზიციაში [ეა]-ს გადმოსაცემად ერთ ტექსტში თუ ~~ჲ~~ დაწერილობა გვხვდება, მეორეში **e**-ა. ეს გვაფიქრებინებს, რომ, ერთი მხრივ, ~~ჲ~~ გრაფემისადმი სხვადასხვა გადამწერისა თუ მწიგნობრული სკოლის დამოკიდებულებასთან და, მეორე მხრივ, ~~ჲ~~ და **e**

გრაფემათა აღრევასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე დიფთონგის დაშლის პროცესის ნავარაუდევ დასასრულთან (შდრ.: ზ. სარჯველაძე, 1975). ამას გვიდასტურებს ისიც, რომ IX-XI სს. ლაპიდარულ წარწერებში [ეა] ბგერათკომპლექსი ძირითადად **e** | **ei** დაწერილობით გვხვდება; ნაკლებად ჩანს **e** დაწერილობა, უფრო იშვიათად — ~~ჲ~~.

[ეა] ბგერათკომპლექსის გამონატვის გარდა, ~~ჲ~~ გრაფემა სხვა შემთხვევებშიც ფიქსირდება:

~~ჲ~~ გვხვდება ზოგიერთი სიტყვის ფუძეში, რომელიც შესაბამისი ბერძნული ფორმის ტრანსლიტერაციას წარმოადგენს: ნიკოდემოს (B იონ.3,9); ი^აშმდ (ABCDEF ლკ.9,53); სშმისა (A ლკ.3,36); იშსუდსა (B ლკ.3,29)... (იქვე, გვ.23).

რომაელის „ქრონიკონში“ დასტურდება პარალელური დაწერილობა საკუთარი სახელებისა: სშმ (196,33)/სემ(196,33) და სწთ (196,25)/სეთი (196,28) (იქვე, გვ. 24).

ამ უკანასკნელში ბერძნული **η**-ს სატრანსკრიპციო ნიშანი ~~ჲ~~ [ეი]-დ და არა [ე]-დ არის გააზრებული; ეს საკუთარი სახელი ასეთივე ფუძით მკვიდრდება ქართულში (შდრ., ლეჩხუმში სეთით დღესაცაა გავრცელებული).

იშვიათად ~~ჲ~~ გრაფემა გვხვდება ე- ბოლოკიდურიან როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელთა მოთხრობით, მიცემით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში, ნართანიანი მრავლობითის სახელობითისა და მოთხრობითის ფორმათა ფუძეებში. თვლიან, რომ ასეთ შემთხვევებში ეს ასო-ნიშანი [ე] ბგერის გადმომცემია: დიდებაჲ ძსა დ^ათისსა (CD მთ. 21,15); კლდსა ზედა (Bმთ.16,18); ნუ მისცემთ სიწმიდსა (Bმთ.7,6); დღსა შაბათსა (Eმთ. 12,1); ესმა ჰეროდს (A მთ.14,1); მეფე შენ... ცხოვნი (მ/ქ^ა,341-7); მწარცდ(რ/ქრ. 198,10); ცხოვნი მეფე (რ/ქრ. 198,39); სხუად სახცდ (დიომ.196,4); გიგალობთ შენ ქ^ა ღმერთო (ძლ.171/59-8); ძსო იონაჲსო (Dმთ. 16,17); ძცდ (მტყლკ.3,23); ძსმან (DE მთ.11,27); ძსთა (Dმთ.27,56); დღსნი (Fლკ.2,21)... (იქვე, გვ.24).

[ე]-ს გადმომცემია ~~ჲ~~ გრაფემა ფუძეებში: ხსწემ (F მთ.12,33); სასუფსველი (C მთ.22,2); ბირსზულ (C მთ.14,8)...

ზოგჯერ ~~ჲ~~ დასტურდება -მდე თანდებულიან ფორმებში: ყოფადმდ (Eლკ.2,21); ვ^აემდ (Cმთ.13,2); გამოსლვადმდ (Bმთ.12,20; მთ.10,23)...

დაწერილობის შემთხვევები ასევე მოულოდნელია და გრაფემათა „აღრევად“ არის მიჩნეული ზმნების ბოლოს C-# პოზიციაში: ვქმნც (ჩლკ.18,18); გამოუცხადც (Cმთ.11,25); იხილც (Bმთ.8,4); მოიკუთც (Bმთ.5, 30); დავიზმთრც (მქ^ა 332-37); შეიწყნარც (დიომ.196,26); შემოქმედი იტვირთც (ძლ.137/16-12); ვისწავც (ეპ. კვპრ.194,28)... ალაბი წინაღლც (იშხანი X)... (იქვე, გვ. 17-28).

ვფიქრობთ, სიტყვის ფუძის არაბოლოკიდურ პოზიციაში (ხცნეშ, სასუფცველი, ზცობასა) **ე**-ს ნაცვლად გამოვლენილი **ე**-სა და ასევე მორფემათა ზღვარზე **ე**-ს დაწერილობების (დღეს) დროს ადგილი უნდა ჰქონდეს გრაფემათა აღრევას, სხვა შემთხვევებში კი (მოთხრობით, მიცემით თუ ვითარებით ბრუნვებში, ზმნებისა თუ თანდებულების ბოლოს) — არა: ჩვენი ვარაუდით, მაშინდელ ზებირ მეტყველებაში (ავტორის დიალექტში!) შესაძლოა გვხვდებოდა დიდი დართული დიალექტური ფორმები: ძეძმან, დავიზამთრეძ, ვიდრემდეძ, მეფეძე, მოიკუთეთე (შდრ., თანამედროვე კილოური მონაცემები: მოვხარაშეი, გავტეხეი... (სამცხ.); მოვიყვანეი, დავრგეი; ვინმეი, რამეი... (ზ.იმერ.); მამადს „მამას“, ხედს (=ხეს) დაუშენდა თავს ი ბედითი... (რაჭ.) (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 392, 411, 465, 479...). გამოყარეი, მელაპარაკეი, კითხეი, ვიჩივლეი... (ქართლ.) (ვ. თოფურია, 2002, გვ.450), ბრავადეძ „ვილაპარაკე“, ბლაჭალეძ „ვიჩხუბე“ (მეგრ.) (ე. დადიანი, მ. არჯვანიძე, 2007, გვ. 160). ბუნებრივი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ამგვარი წარმოთქმა შეიძლებოდა ასახულიყო აღნიშნული ტიპის სიტყვებში.

[ეა] ბგერათკომპლექსის გადმოცემა და ~~ეა~~ გრაფემის გამოყენება XII-XVIII სს. ძეგლებში განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რომელი ანბანით არის შესრულებული ესა თუ ის ძეგლი.

„სიტყუაჲ ართრონთათჳსში“ იქ, სადაც ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო ეჲ დიფთონგი, ყოველთვის გვხვდება ე; ასეთივე ვითარებაა აბუსერისძე ტბელთან (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 28).

ამ პერიოდის ხუცურით შესრულებულ ისტორიულ საბუთებში [ეა][ეი] ბგერათკომპლექსი ასევე არ ჩანს ჩვენთვის საინტერესო პოზიციებში, მაშინ როდესაც [ა]-ს შემცველი სხვა დიფთონგები: [ოა], [უა], [აა] ყველგან ადგილზეა (იქვე, გვ. 25-27).

კვიპრელის „ქრონიკის“ XIII—XIV სს. ხელნაწერებში ~~ეა~~ გრაფემა, „აღრევასთან“ ერთად, დანიშნულებისამებრაც გამოიყენება, თუმცა მისი მოხმარების არე, ამავე ძეგლის X-XI სს. ხელნაწერებთან შედარებით, საკმაოდ შეზღუდულია (იქვე, გვ. 26).

სენეთის წერილობით ძეგლებში ~~ეა~~ გრაფემა არ გამოიყენება. მის შესაბამისად ეი||ეჲ კომპლექსი გვხვდება: ი(ოვან)ე ცხეთილისძეი (II სვ. 3-32) (იქვე).

XIII-XVI სს. შესრულებულ ლაპიდარულ წარწერებში ~~ეა~~ გრაფემა არ გვხვდება დანიშნულებისამებრ. მის ნაცვლად პოზიციებში ე ან ეი გვევლინება.

ჴ გრაფემა მხედრულით შესრულებულ წყაროებში XVI ს-მდე არ გვხვდება. ყველა მოსალოდნელ პოზიციაში ე დაწერილობა გვაქვს.

ანტონ კათალიკოსთან და გაიოზ რექტორთან თითზე ჩამოსათვლელი მაგალითები დასტურდება [ეა] დიფთონგის გამოყენებისა (იქვე, გვ. 34).

რაც შეეხება [აა], [ოა] და [უა] ბგერათკომპლექსთა გადმოცემას, შემდეგი სურათი გვაქვს:

ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში ~~ეა~~ გრაფემის გამოვლენის წესები მკაცრადაა დაცული დიფთონგთა მეორე ნაწილის გადმოსაცემად.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ XI საუკუნის ზებირ მეტყველებაში დიფთონგები აღარ არსებობდა (ზ. სარჯველაძე). ჩვენი დაკვირვებით, V-XI საუკუნეთა ძეგლებში თითქმის ყოველთვის გამოვლინდება V-C პოზიციაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ნიშანთა ხმოვნით ნაწილად. კლების შემთხვევები იმატებს სანაარვ ძეგლებში სახელობითი ბრუნვის ბოლოს V-# პოზიციაში. საერთოდ, IX-XI საუკუნეების ხელნაწერებში ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში [ჟ]-ს გამოვლენის სიხშირე მაღალია, რაც უნდა მიუთითებდეს მაშინდელ ზებირ მეტყველებაში პალატალიზებულ დიფთონგთა არსებობის შესახებ.

ამავეს ადასტურებს IX-XI საუკუნეთა ლაბიდარული წარწერებისა და ისტორიული საბუთების მონაცემები.

და ი გრაფემათა გამოვლენის მართლწერისათვის უჩვეულო შემთხვევები არ წარმოადგენს XI ს. ზებირ მეტყველებაში დიფთონგთა მოშლის საბუთს.

ჩვენი აზრით, ამ პერიოდისთვის და ი გრაფემათა გამოვლენის ორთოგრაფიული ნორმების რყევას სმენითი აღქმისას [ი] და [ჟ] ალოფონთა გაურჩევლობა იწვევს ზოგი გადამწერისა თუ შემსრულებლის მხრიდან.

ამაზე მეტყველებს IX-XI სს. ლაბიდარულ წარწერათა მონაცემები, რომლებშიც სახელობითი ბრუნვის ნიშნად V-# პოზიციაში 53% დაფიქსირდა, ი — 40% და მხოლოდ 7%-ში არ არის წარმოდგენილი ბრუნვის ნიშანი, ხოლო ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთა ხმოვნით ნაწილად 60,6% გააქვს და 39,4% — ი. პოზიციაში გამოვლენილი ი გრაფემა აღნიშნულ შემთხვევებში [ჟ] ალოფონის გადმომცემად მიგვაჩნია (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 46-54).

XII-XVIII სს. ხუცურით შესრულებულ ძეგლთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ პერიოდის ქართულში გრაფემა აქტიურად ვლინდება ორთოგრაფიულ ნორმათა შესაბამისად; ე.ი. [აჟ], [ოჟ], [უჟ] დიფთონგებიც სახეზეა (იქვე, გვ. 54-58).

გრაფემის კლების შემთხვევები იშვიათია, მის ნაცვლად ი გრაფემის დაწერილობა — ხშირი. ამ პოზიციებში ი-ს, XI ს. ძეგლების მსგავსად, [ჟ]-ს გამომხატველად ვთვლით.

XI-XV სს. მხედრულით შესრულებულ ძეგლებში ყველა იმ პოზიციაში, სადაც მოსალოდნელი იყო [ჟ], წარმოდგენილია ი: სახელობითი ბრუნვის ბოლოს V-# პოზიციაში — 97,5%, ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობით ბრუნვაში, V-C პოზიციაში — 95,8%, ხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ნათესაობითში — 86,4%, სახელის მხოლოდითი რიცხვის ნანათესაობითარ სახელობითში მხოლოდ ი-თი გაფორმებული ფუძეებია, ცა ნაწილაკიც ყოველთვის გაფორმებულ ფუძეს დაერთვის, ნანათესაობითარ სახელობითში ი [ჟ]-ს ადგილზე ყველგან სახეზეა; ხმოვანფუძიან სახელთა მოქმედებითსა და ნანათესაობითარ მოქმედებითში ი ყველგანაა [ჟ]-ს პოზიციაში.

მოცემული მონაცემები ცხადყოფს, რომ XII-XV სს. მხედრულით შესრულებულ ქართულ ძეგლებში ი გრაფემა აქტიურად ვლინდება [ჟ] ალოფონის გადმოსაცემად. შესაბამისად, აი, ოი და უი დაწერილობანი ამ პოზიციებში [აჟ], [ოჟ] და [უჟ] ბგერათკომპლექსთა (resp. დამავალ დიფთონგთა) გამომხატველია.

XV-XVI საუკუნეებიდან მხედრულ საერო ძეგლებში აღნიშნულ პოზიციებში ი თითქმის აღარ გვხვდება. თუმცა [ჟ] ხშირად ვლინდება დიალექტებში. ეს

ბგერა ჩვეულებრივია სასულიერო სტილის გამოყენების დროსაც (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 65-67).

ამრიგად XI-XVI სს. მხედრულ ხელნაწერებში **ა** გრაფემის არარსებობა არ უნდა აიხსნას დიფთონგების მოშლით. თავდაპირველ მხედრულ ანბანში, ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალეს /ი/-ს ალოფონთა გარჩევა, რომლებიც, როგორც დავინახეთ, ზეპირ მეტყველებაში აკუსტიკურად განირჩეოდა, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლიდა, ე. ი. ფონემა არ იყო.

სასულიერო ხასიათის ძეგლები, როგორც წესი, ნუსხა-ხუცურით იწერებოდა, მაგრამ უკვე XVII ს-დან მხედრული ანბანით არის გადაწერილი მრავალი მათგანი. ამის მიზეზი საერთოა ნუსხურის უცოდინარობა ყოფილა, რასაც ამტკიცებს კიდევ ამ პერიოდის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები.

მხედრულით გადმოწერილი სასულიერო ძეგლების ენა უცვლელი დარჩა.

ამ ძეგლთა ენაში, როგორც წესი, [ა] ვლინდება ძველი ნორმების მიხედვით, ძირითადად დამავალ დიფთონგებში.

XI-XVI სს. მხედრულ ხელნაწერებში **ა** გრაფემის არარსებობა უნდა აიხსნას არა დიფთონგების მოშლით, არამედ თავდაპირველ მხედრულ ანბანში /ი/-ს უმარცვლო ალოფონთა ნიშნის არარსებობით.

სულხან-საბა ორბელიანი საერო თხზულებათა შექმნის დროს ამ გრაფემას არ იყენებს; მაგალითად, „მოგზაურობა ევროპაში“ **ა**-ს ნაცვლად უიშვიათესად წერია **ი**. სასულიერო სტილით შესრულებული „სწავლანის“ ენა სინტაქსური წყობითაც და მორფოლოგიურადაც „ძველი ქართულისებურია“, მაგრამ მასში XVII ს. მეტყველების ნორმებია შეჭრილი. ასეა [ა]-ს გამოყენების შემთხვევაშიც. კერძოდ: V-# პოზიციაში სახელობითი ბრუნვის ნიშნად და V-C პოზიციაში ნათესაობითა და მოქმედებითი ხშირად არ გვხვდება ეს ასო-ნიშანი. სულხან-საბა იყენებს **ა** გრაფემას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იმოწმებს ადგილებს სახარებიდან.

ბუნებრივია, ამ პერიოდის მხედრულით გადაწერილ სასულიერო ძეგლებში **ა**-ს გამოყენების ნორმები უფროა დაცული, ვიდრე მხედრულითვე დაწერილ სასულიერო ძეგლებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი XVIII ს. გრამატიკოსთა მიერ **ა** გრაფემის ინტენსიური გამოყენება სასულიერო და სამეცნიერო ნაწარმოებთა შეთხზვისას, რომელთა სტილი თითქმის არ სხვაობდა V-XI სს. შესაბამის თხზულებათა სტილისაგან.

ზ. შანშოვანს შენიშნული აქვს, „რომ ქართულ დიფთონგებში ხმოვნებთან არსებითად უ და **ა** არის წარმოდგენილი“ და რომ **ა** გამოიყენება „უფროსად ინის ალაგს, ვითარცა: რაიმე და რადმე“... (თ. უთურგაიძე, 1999, გვ. 121).

ანტონ პირველმა „ქართულ დრამატიკაში“ ტრადიციული ორთოგრაფია შეინარჩუნა და **ა** ყველა მისთვის მახასიათებელ პოზიციაში წარმოადგინა.

V-# პოზიციაში **ა** გრაფემა 87,6%-ია წარმოდგენილი, სხვაგან — არ ჩანს; V-C პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად — 55% **ა**-ა, დანარჩენში — ი; მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად 91,6%-ია **ა**, ნაწილაკდართულ სახელობითში კი — ყველგან. ფუძეში [ა] დამავალი დიფთონგის შემავალ ნაწილად V-C პოზიციაში **ა** წარმოდგენილია ორჯერ ბერძნულ საკუთარ სახელთა დაწერილობაში: ბეთსადა (118,28); მაღან (118,28)...

გაიოზ რექტორის „გრამატიკაში“ ასეთი სურათია:

V-# პოზიციაში სახელობითი ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილია 42,9%; ნაწილაკი მხოლოდ დ-ით გაფორმებულ სახელობითი ბრუნვის ფორმებს დაერთვის. ნანათესაობითარ სახელობითი სახელი გაუფორმებელია. ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთა ხმოვნით ნაწილად V-C პოზიციაში ყოველთვისაა სახეზე დ გრაფემა.

წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ /ი/ ფონემის უმარცვლო [დ] ვარიანტი არა მარტო XII-XVI, არამედ XVI-XVIII სს. ზეპირ მეტყველებაში ინტენსიურად გამოიყენება; დ და ~~ბრუნვის~~ გრაფემათა გამოვლენის სიხშირე დამოკიდებულია ნაწარმოებთა ხასიათზე: სასულიერო და სამეცნიერო ძეგლებში [დ] ალოფონი ძირითადად სახეზეა და გადმოიცემა ~~ბრუნვის~~ || დ ან ი ||-ი გრაფემებით

ასეთივე სურათია XII-XIV სს. საერო სტილით შესრულებულ ძეგლებში. XV-XVIII სს. შესრულებულ ძეგლებში კი მოსალოდნელ პოზიციებში დ უიშვიათესად ვლინდება.

თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის დიალექტებში [დ], როგორც ი ხმოვნის პოზიციური ნაირსახეობა, დასტურდება: ხმოვნის მომდევნო პოზიციაში თანხმოვნის ან პაუზის წინ (V-C, V-#) და ხმოვნის წინა პოზიციაში თანხმოვნის ან პაუზის მომდევნოდ (C-V, #-V).

ხმოვნის მომდევნოდ ი > დ შეიძლება იყოს:

ა. V-# პოზიციაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: თუშურში (ჩოხად, ჭლეხად), მთიულურ-გუდამაყრულში (ვაჟად, ბილიკად — კნინობითი ფორმებია), ინგილოურში (მამად, კალოდ, თოდ), სამცხურში (შოთად, ნინად, დედად, ძალოდ, ძამიკოდ), რაჭულში (ქალად, მელად — უპირატესად გლოლურ კილოკავში), იმერულში (ძმად, დად... — პარალელურად დასტურდება სრული ხმოვანი ი: ძმაი, დაი), ლეჩხუმურში (კონტამინირებულ ფორმებში: მამა || მამე > მამადე, დედადე... ზოგჯერ სხვა შემთხვევებშიც: გოგოდე), გურულში (უპირატესად ოზურგეთულ თქმაში: ძმად, დად, ბაბად...), აჭარულში (ანად, ბაბად, გიდედად...), იმერხელში (დედედ, ნენედ, წოვად, შაზიედ...)... (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 71; ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999, გვ. 176-177; მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010, გვ. 401-405).

იმერხელში, მაჭახლურში, ტაოურსა და ლივანურში V-# პოზიციაში დ დასტურდება თურქულიდან შემოსულ სიტყვებში: ამსოდ „ამნაირი“, სხვასოდ „სხვანაირი“... (შ. ფუტყარაძე, 1995, გვ. 6-31).

ბ. V-C პოზიციაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნითი ელემენტი ფუძეუკვეცელ სახელებთან: მთიულურ-გუდამაყრულში (სარეკელადს, სარეკელადთ...), ინგილოურში (დედადას, სუფრადათ...), რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში (ვაჟადს, ყველადს; ვაჟადთ, ყველადთ...), იმერული დიალექტის ქვემოიმერულ კილოკავში (კონტამინირებულ ფორმებში ბიცოლადს||ბიცოლეს — ბიცოლეს, ბიცოლადთ||ბიცოლეთ — ბიცოლეთ), ლეჩხუმურში (ბიცოლეს, გოგუდს; ბიცოლეთ, გოგიეთ), გურულში (უპირატესად ოზურგეთულ თქმაში: ყბადს, ხფოდს, ყრუდს; ყბადთ, ხფოდთ, ყრუდთ — დ შეიძლება დაიკარგოს: ხფოს „ხბოსი“, ყრუს „ყრუსი“), აჭარულში (ანადს, საცოლეს; ანადთ, საცოლეთ), იმერხელში (ფენჯერადს, ფენჯერადთ) (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 71-72; ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999, გვ. 176-177; მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010, გვ. 401-405).

ყველა ამ შემთხვევაში დამავალი დიფთონგები წარმოიქმნება.

საყურადღებოა ისეთი ფორმები, რომლებიც მორფემათა ზღვარზე თანხმონის წინ დას შემცველ დამავალ დიფთონგთა არსებობაზე მეტყველებენ. მხედველობაში გვაქვს სადღუმლო, შედწყალე და მსგავსი ფორმები.

პირველად ამ პოზიციაში ^{shug's font} V ს. აკაურთას და საპაკდუხტის წარწერებში დავადასტურეთ ფორმებში: შედწყალე და დადცევ.

ხელნაწერებში ამ პოზიციაში ^{shug's font} შედარებით იშვიათია: ადღეთ (ჩმთ.11,29); დადბანე (Dიონ.9,11); სადღუმლოდ (Dლკ.8,17); შედცვა, მოდთხოვა (მ. ძიძიშვილი, 1960, გვ. 48-49); სადღუმლონი (კვ/ქრ., გვ.80); სადღუმლოდ იგი (ძლ. 147,25/8; 159,43/28)...

IX-XI სს. იმ წარწერების გეოგრაფიული არეალი, რომლებშიც ხსენებულ V—C პოზიციაში ^{shug's font} შეგვხვდა, ფართოა: ოშკი, გუდაუთა, ბიეთი, არემი, ატენი, სვანეთი.

მაგალითები: დადცვან (ოშკიX); შედწყალე (გუდაუთა IX-X); დადცევ (ბიეთი X); შედწყალე (არემი X); წადკითხით (ატენი X-XI); დადცვენი (სტ.ჯვ. X); დადცვენ (X-XI—II სვ.1,6); შედწყალე (XI—II სვ.3,8).

XII-XV სს. ^{shug's font}, ხელნაწერთა გარდა, ამ პოზიციაში დავაფიქსირეთ აბელიას, გუნია-ყალასა და სვანეთის წარწერებში; პეტრე იბერიელთან მხოლოდ 1 „სადღუმლო“ ფორმა გვხვდება (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 44-64).

ეს ფაქტები ზეპირ მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე თანხმონის წინ დას შემცველი დამავალი დიფთონგის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ხელნაწერებში „გაპარული“ შეცდომებიც ამის დამადასტურებელია.

ამრიგად, V-XVI სს. წერილობითი ძეგლების მონაცემთა მიხედვით ირკვევა, რომ იმ პერიოდის ქართულისათვის სიტყვის თავკიდურ პოზიციაში მორფემათა ზღვარზე თანხმონის წინ დას შემცველი დამავალი დიფთონგები არსებობს.

დღევანდელ ქართველურ კილოებშიც მორფემათა ზღვარზე ზემოთ აღნიშნულ V-C პოზიციაში [ა] ხშირად გვხვდება: დადმალ, გამადლ (ინგილოური), გადგებენ, ამადტანა (ფერ.), წადღებს, დადმალა (სამცხ.), დადფიცა, წადყვანა, დადბოცნეს (რაჭ., გლოლ.) (ბ. ჯორბენაძე), მედკრიფა, ჩედტან, დედსწავლი, წედყუნდენ, დედწუის (იმერხ.)... (მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010, გვ. 403-404), მედხედე, წედლო (გურ.), შედღება, გედგონა (იმერ.), შადწყალე, შედღება (კახ.), დედნახა, გედპარა, დედნგრა (აჭარ.)... (ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999), შედღებ (< შეგიღებ) „შეგიძლია“, ვადლ (< ვაგილ) უფლება „არ გაქვს უფლება“, ქოდლუდას „გქონდეს“ (მეგრ.)... (ე. დადიანი, მ. არჯევანიძე, 2007, გვ. 160).

არცთუ იშვიათად და გვხვდება ფუძისეული ი-ს ალოფონადაც V—C პოზიციაში: დედდად (ინგილოური), სედრი, მადლი „მარილი“ (აჭარ.), როდსმე (გურული), ქედფობენ (კახ.) და მისთ. (ბ. ჯორბენაძე, 1998; ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999).

იმერხელში, ლივანურში, ტაოურსა და მაჭახლურში და ბგერა V—C პოზიციაში დასტურდება თურქულიდან შემოსულ სიტყვათა ფუძეშიც: ჩადრი „ჭალა“, მედვა „ხილი“, ადნი „ერთნაირი“, ადრი „განსხვავებული“... (მ. ფუტყარაძე, 1995, გვ. 6-34).

თანამედროვე კილოებში ზოგჯერ და ვლინდება ფუძის არაბოლოკიდურ პოზიციაში მიცემით ბრუნვაში: მამადს „მამას“, ხედს „ხეს“ (რაჭ.) (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 392, 411, 465, 479...).

საყურადღებოა [დ]-ს შემცველი აღმავალი დიფთონგები:

V-XI სს. წერილობითი ძეგლების მონაცემთა მიხედვით თვლიან, რომ უმარცვლო [ი] დიფთონგის პირველ ნაწილად, ჩვეულებრივ, არ გვხვდება (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965; ზ. სარჯველაძე, 1975; აკ. შანიძე, 1976...).

ხმოვნის წინ თავიიდურა პოზიციაში დადასტურდა ბალიჭის V ს. და უსანეთის გორის VIII ს. წარწერებში სამჯერ ესე და დოვანე ფორმებში (ნ. შოშიაშვილი, 1980, გვ. 49, 60).

V-XI სს. ქართულისათვის #-V პოზიციაში ხელნაწერებში მართლაც თითქმის არ ჩანს. თითქმის იმიტომ, რომ იგი დავადასტურეთ „სინურ მრავალთავში“ ესუ ფორმაში შვიდჯერ. როგორც ივ. იმნაიშვილი ასკვნის, „ძველ ქართულში დ გვქონდა აღმავალ დიფთონგებშიც, რაც მეტად საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ქართულში დიფთონგთა შესწავლისათვის“ (ივ. იმნაიშვილი, 1975, გვ. 15). აღნიშნულ პოზიციაში დ დაფიქსირებული აქვს გარითსაც სიტყვაში: დოვანე (იქვე).

IX-XI სს. წარწერებსა და ისტორიულ საბუთებში ამ პოზიციაში გრაფემა 46% დაფიქსირდა, შესაბამისად ი — 54%; XII-XV სს. წარწერებსა და საბუთებში კი — 62,5% და 37,5% — ი. საუბარია ნუსხურითა და ასომთავრულით შესრულებულ წარწერებზე.

მაგალითები: დოვანე (ქუთ. XI; II სვან. 3 — 182; ფოკა XI; II სვან. 3 — 8; ატენი X-XI; ლეკნარი X-XI; ყალა-ბოინი X; კუმურლო X; სხიერი IX-X; იყალთო IX-X...); ესუ (ოპიზა X); დოჭიპის ძენი (ქორეთი XI); დაკობ (ოშკი 1036) (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 68-71).

სახეზეა, რომ არათუ იმ პერიოდის ქართულისათვის, როდესაც აღნიშნულ საკუთარ სახელთა სესხება ხდებოდა, არამედ მომდევნო პერიოდის ქართული ენისთვისაც (ჩვენი მასალის მიხედვით XVI საუკუნემდე), ხმოვნის წინ თავიიდურ პოზიციაში [დ] ბგერა უცხო არ არის და საჭიროებისდა მიხედვით ქართველი მას აღიქვამს და შესაბამისი გრაფემითაც გადმოსცემს.

ბოლნისის X ს. წარწერაში დაფიქსირდა ელდა ფორმა; შრომისუბნის X საუკუნის წარწერაში — ეკლეზაო; ბაჯითის XI და ჩხიკვთას XIII საუკუნის წარწერებში — გდორგი; „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ — გადანე; „ნევიმირებულ ძლისპირნი“ — ესადა; კვიპრელის „ქრონიკაში“ — ტრადანოს. ჰაემეტ ტიბიკონში ორჯერ შეგვხვდა იესტნდნუ ფორმა. ჩვენი აზრით, წარმოდგენილ მასალაში ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი აღმავალი დიფთონგის საინტერესო ნიმუშები აისახა (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 70).

თანამედროვე ქართველურ კილოებშიც ი > დ აღმავალი დიფთონგის წარმომქმნელად შეიძლება შეგვხვდეს როგორც მორფემათა ზღვარზე, ასევე დაუშლელ ფუძეებში:


C-V პოზიციაში: აჭარულში - 23% (დელაპარაკებოდა, გაწერებდა), გურულში - 2% (გეშვა, გადგებადა), იმერულში - 9% (მეფშოს, გამოგვეკიდებენ), კახურში - 8% (თავდანი, გიხარდან), ბალსზემოურში - 44% (აღდარემ „ამათი“, ლადდარ „დედუღეთი“)... მეგრულში (კვარდა „ყვავი“, მდარო „ბევრი“), იმერხეულში (დუნდაში) (ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999, გვ. 177; ე. დადიანი, მ. არჯევანიძე, 2007, გვ. 161; მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010, გვ. 404).

^ -V პოზიციაში: იმერულში - 14% (დეფი, დორამი), კახურში - 28% (დესო, დოსები), სამცხურში - 14% (დეთიმი, დაკობი), ბალსხემოურში - აბსოლუტურ უმრავლესობაში (დოსელიან, დასონ, დოლდ „იოლად“, ძან „იონანე“)... (ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999, გვ. 176); იმერხელში, ლივანურში, მაჭახლურსა და ტაოურში თურქულიდან შემოსულ სიტყვებში (აჟუვა „ბუდე“, დაფი „შენობა“, დემეგი „საჭმელი“, დერი „ადგილი“, დაფრადი „ფოთოლი“...) (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 6-31; მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010, გვ. 404).

V-V პოზიციაში: იმერხელში (სოდადობაჲ; ბოდათ); სამცხურსა და ჯავახურში (პატარადა, მტირალადა), ლეჩხუმურში (მამაჲ, გოგოჲ), იმერულში (დედაჲ, ნინოჲ)... (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 91 მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010, გვ. 405).

ფაქტია, რომ ქართულში [ა] არა მარტო დამავალ, არამედ აღმავალ დიფთონგთა წარმოქმნელიც იყო პაუზის ან თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინა პოზიციაში V-XVIII სს-ში და ეს ფუნქცია დღემდე არ დაუკარგავს როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე მის დიალექტებში.

V-XVIII სს. ჩვენ მიერ გამოწვლილვით შესწავლილ წერილობით ძეგლებში არ დადასტურებულა თანამედროვე ქართველურ დიალექტებში (ქართლურში, კახურში, მთიულურ-გუდამაყურულში, ფშაურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მეგრულში, სვანურში...) აქტიურად გამოვლენილი ხმოვნის იოტიზებული შემართვა-დამართვის შემთხვევები, ისევე როგორც თანხმოვნებისაგან მიღებული [ა] (შდრ.: ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 71; ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999, გვ. 174-176).

უიშვიათესად უძველეს წერილობით ძეგლებში C-C, C-# თუ #-C პოზიციებში დადასტურებული  გრაფემა [ი]-ს გადმოცემა: დტყუის(ატენი VIII-IX); ძხაღეთ (იქვე); ანგელოსჲ (შრომისუბანი X), გ(იორგ)ჲ (არეში X), საყდარჲ (II სვ. I X-XI); მოლუაწენჲ (მთისკალთა XI), იოვჲ (ღამე XI)... (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 53). ასეთ შემთხვევებში მართლაც გრაფემათა აღრევასთან გვაქვს საქმე, რაც მხოლოდ „კალმისმიერი შეცდომით“ თუ „გადამწერის უცოდინრობით“ შეიძლება აიხსნას.

ზემოთქმულის შეჯერების სედეგად შეიძლება ითქვას, რომ ენამ, „ფონეტიკური კონსერვატიზმის“ შედეგად, არქაული ქართულისათვის დისტრიბუციის უძველესი ნორმების თანახმად სხვადასხვა პოზიციაში ნავარაუდევი [ა] სეგმენტი შეინარჩუნა როგორც V-XVIII საუკუნეების, ასევე თანამედროვე სამწიგნობრო ქართულსა და მის დიალექტებში, როგორც დამავალ, ასევე აღმავალ დიფთონგებში. დიფთონგებზე დაკვირვებამ კი ცხადყო, რომ თანამედროვე ქართველურ დიალექტებში ისინი განსხვავებული სიხშირით ვლინდება.

ქვემოთ წარმოდგენილია [ა]-ს შემცველ ბგერათკომპლექსთა გამოვლენის პოზიციები V-XVIII სს. წერილობითი ძეგლებისა და თანამედროვე ქართველური კილოების მონაცემების მიხედვით.



შენიშვნა: შ. ფუტკარაძე მიუთითებს, რომ იმერხელში, ლიჯანურში, მაჭახლურსა და ტაოურში გვხვდება მხოლოდ სტრუქტურული სტრუქტურები, ძირითადად \hat{V} -V, იშვიათად V-C და V-# (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 31); სამცხურ, აჭარულსა და იმერხელ დიალექტებში გამოვლენილი მ-ს შემცველი ბგერათკომპლექსების ფონზე ეს ვარაუდითი საეტიმოლოგიური მიმართულებით კვლევას ვაგრძელებთ და შედეგებს ცხრილში წარმოადგინებთ მონაცემები შეიცვალოს.

შემოკლებანი
 კვ. ქრ. - ალექსანდრე კვიციანი (X-XIV სს. ხელნაწერები მიხედვით), ტექსტი გამოსაცემად მოამზადდა გ. ბერიძის მიერ (ლექსიკონი დაურთო თ. მგალობლიშვილმა, იმ., 1978).
 ებ. კვბრ. - ეპიფანე კვბრელი, სახომთოც და საწყაულოთა, „მატბერდის კრებული“.

veril obli Zg di; ki obli	pozicia					
	#V	V-#	V-V	#C	C#	CC
V-VIII ss.	+	+	-	+	+	+
IX-XI ss.	+	+	+	+	+	+
XII-XV ss.	+	+	+	-	-	-
XVI-XVIII ss.	+	+	-	-	-	-
ქართული იმერხელში, ლიჯანურში, მაჭახლურსა და ტაოურში	+	+	-	-	-	-
სამცხურ, აჭარულსა და იმერხელ დიალექტებში	-	-	-	-	-	-
სამცხურ, აჭარულსა და იმერხელ დიალექტებში გამოვლენილი მ-ს შემცველი ბგერათკომპლექსების ფონზე ეს ვარაუდითი საეტიმოლოგიური მიმართულებით კვლევას ვაგრძელებთ და შედეგებს ცხრილში წარმოადგინებთ	-	-	-	-	-	-
im xuli	+	+	+	-	-	-
li vauri	+	+	-	-	-	-
ra xuli	+	+	-	-	-	-
t auri	+	+	-	-	-	-
საქართველო (X-XIV სს. ხელნაწერები მიხედვით), ტექსტი გამოსაცემად მოამზადდა გ. ბერიძის მიერ (ლექსიკონი დაურთო თ. მგალობლიშვილმა, იმ., 1978).	-	-	-	-	-	-
ებ. კვბრ. - ეპიფანე კვბრელი, სახომთოც და საწყაულოთა, „მატბერდის კრებული“.	+	+	-	+	-	-
f Suri	-	-	-	-	-	-
xaur ul i	-	-	-	-	-	-
roxuri	+	-	-	-	-	-
მიული .gudaar .	-	+	+	-	-	-
TuSuri	+	+	-	-	-	-
raMli	-	+	-	-	-	-
ba szeniauri	+	+	+	-	-	-
reg ul i	-	+	+	-	-	-

- იონ. - სახარება იოვანესი.
ლკ. - სახარება ლუკასი.
მარკ. - სახარება მარკოზისი.
მთ. - სახარება მათესი.
რ/ქრ. - იპოლიტე რომაელი, ქრონიკონი, „მატბერდის კრებული“.
სარჯვ. - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
სვ. I - სვანეთის წერილობითი ძეგლები I, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები, თბ., 1986.
სვ. II - სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები, თბ., 1988.
სილ. - ქართული წარწერების კორპუსი II, ლაპიდარული წარწერები, თბ. 1980.
ძლ. - ნევემირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A-603), თბ., 1982.
A - ოპიზის ოთხთავი (913 წ.).
B - ტბეთის ოთხთავი (995 წ.).
C - ადიშის ოთხთავი (897 წ.).
D - ჯრუჭის ოთხთავი (936-940 წ.).
E - პარხლის ოთხთავი (973 წ.).
F - ბერთის ოთხთავი (988 წ.).

დამოწმებული ლიტერატურა

- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, *saerToqarTveluri struqturistipologia*, თბ., 1965.
ე. დადიანი, მ. არჯევანიძე, 2007 - ე. დადიანი, მ. არჯევანიძე, *დ მეგრულში (გალის რაიონის სოფელ პირველი გალის მეტყველების მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა*, ტ. XI, ქუთაისი, 2007.
ივ. იმნაიშვილი, 1975 - ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975.
მ. მიქაუტაძე, 2005 - მ. მიქაუტაძე, პალატალიზებულ დიფთონგთა საკითხი V-XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.
მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010 - მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, ფონემატური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხისათვის იმერხეულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი, მასალები, ქუთაისი, 2010.
ზ. სარჯველაძე, 1975 - ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
ზ. სარჯველაძე, 1984 - ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
თ. უთურგაიძე, 1999 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.
ტ. ფუტყარაძე, 1998 - ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.
ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, 1999 - ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, ი და *დ* ალოფონთა მიმართებისათვის ქართველურ ენებში, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999.

შ. ფუტყარაძე, 1995 - შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუშაჭირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1995.

აკ. შანიძე, 1976 - აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976

ნ. შოშიაშვილი, 1980 - ქართული წარწერების კორპუსი I, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XI სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

მ. ძიძიშვილი, 1960 - მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.

ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ბ. ჯორბენაძე, 1998 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

MAIA MIKAUTADZE

[j] IN THE GEORGIAN LANGUAGE OF 5TH-18TH CC. AND IN THE MODERN KARTVELIAN DIALECTS

[ɟ] enjoys high frequency recurrence in the ancient Georgian manuscripts and lapidary inscriptions. The active use of this sound is attested also in the modern Kartvelian dialects. It is derived from [i], and from the consonants: h|kh, z|s|sh|ts, n|r|l, j, g|k; it also appears with jota excursion and recursion.

The aim of this paper is to discuss [ɟ] -containing sound-complexes in the diachronic aspect and reveal what connection can be traced between the [ɟ], occurring in the ancient Georgian manuscripts, and in the sound found in the modern Kartvelian dialects. Namely, I discuss the forms which are characteristic to a) to 5th -18th literary standards, but are presently occurring in the modern dialects; b) also the forms regarded by scholars as characteristics to the dialects of a writer's or scribe's spoken language; c) forms regarded as a scribe's mistake; however, according to our observation they might be given different qualification.

No doubt, recording and studying of the dialectal forms attested in the ancient Georgian manuscripts acquires paramount importance in terms of their interaction; on one hand of the Georgian literary language (based on the data of recorded texts) and the spoken language, and on the other from the standpoints of researching of the historical dialectology.

The collation of the data of the ancient written monuments with the corresponding facts of modern Kartvelian dialects has revealed that as a result of the "phonetic conservatism" the language, according to the earliest distribution norms of the archaic Georgian, has retained the [*] segment assumed in different positions, as in the 5th -18th century writings so in the modern literary Georgian and in the modern Kartvelian dialects, both in ascending and descending diphthongs, respectively.

The observation on the diphthongs made it clear that in the modern Kartvelian dialects they have different occurrence frequencies, as #-V, V- #, V-V, #-C, C-C, C-#, V-C and in C-V positions.